საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030194141331020

№ 01-150/ო **04 / აპრილი / 2020 წ.**

სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე და 75-ე მუხლებისა და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სეზონური გრიპისა და COVID-19–ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს „მორიგე“ რეჟიმში მომუშავე დაწესებულებები (შემდგომ - დაწესებულებები) დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა, შესაბამისი პროტოკოლის მიხედვით, კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში უზრუნველყონ პაციენტთა სატელეფონო კონსულტაცია.

3. ამ ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით, დაწესებულებებმა სამუშაო პროცესში ადმინისტრაციული, სააღრიცხვო, ოპერაციული მხარდაჭერის და მათი კომპეტენციის ფარგლებში, სხვა შესაფერისი დავალებების შესასრულებლად ჩართონ სამედიცინო უნივერსიტეტების ბოლო ორი დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფის შემდეგ.

4. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ, ამ ბრძანებით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების (მათ შორის, ჩართული სტუდენტების) ანაზღაურება განხორციელდეს „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებებიდან.

5. მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებელი დაწესებულების ბრიგადების რაოდენობის მიხედვით, თითოეულ ბრიგადაზე (ბრიგადის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების მიერ და მის შემადგენლობაში შედის ექიმი (ოჯახის ექიმი/უბნის ექიმი), ასევე დაწესებულების საჭიროების შესაბამისად, ექიმი, ექთანი, ოპერატორი გადამისამართებული ზარების მართვის მიზნით და სტუდენტი) დღე-ღამეში - 120 (ასოცი ლარი) ლარის ოდენობით.

6. ბრძანებით განსაზღვრული სერვისის მიწოდება არ ითვალისწინებს თანაგადახდას ბენეფიციართა მხრიდან.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალაგადაკარგულად გამოცხადდეს ,,სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/ რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მარტის N01-133/ო ბრძანება.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე